

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია და შიდა კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმები და პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განაცხადი (აპლიკაცია) უნდა წარადგინოს **მხოლოდ ელექტრონული ფორმით**, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
2. კანდიდატებს განაცხადის წარსადგენად ეძლევათ კონკურსის გამოცხადების დღიდან (www.hr.gov.ge-ზე გამოქვეყნების დღე) 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადა.
3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
4. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) - კანდიდატმა შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთოს:
 - ა) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი - შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტი (ცნობა), რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღი და დაკავებული თანამდებობა (სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა სავალდებულოა იმ ვაკანსიებისათვის, სადაც გათვალისწინებულია სამუშაო გამოცდილების არსებობა).
5. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).
6. კანდიდატი უფლებამოსილია, განაცხადში შეიტანოს ცვლილება განაცხადის წარდგენისთვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.
7. კონკურსს ატარებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია, რომელიც დაადგენს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებულ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.
8. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
9. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

2. ღია და შიდა კონკურსის ეტაპები

1. ღია და შიდა კონკურსის ეტაპებია:
 - ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების (აპლიკაციების) გადარჩევა-მათი ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
 - ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.
2. კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები და გასაუბრების ჩატარების თარიღი და ადგილი კანდიდატს ეცნობება მის მიერ განაცხადში (აპლიკაციაში) მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

3. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

1. ღია და შიდა კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით განსაზღვრული წესით.
3. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამისობის დადგენის შემთხვევაში კანდიდატი მე-2 ეტაპზე- გასაუბრებაზე ვერ გადავა.

4. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება

1. კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების გადარჩევის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას ატარებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია.
2. გასაუბრებაზე კანდიდატები საკონკურსო კომისიის წინაშე წარსდგებიან ინდივიდუალურად.

3. გასაუბრება ტარდება სამართლებრივი აქტების ცოდნისა და კანდიდატის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
4. კომისიის თითოეულ წევრს უფლება აქვს დაუსვას შეკითხვა კანდიდატს.
5. კანდიდატი უპასუხებს დასმულ შეკითხვებს.
6. კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩაწერა.
7. გასაუბრების დასრულებისთანავე კანდიდატი ტოვებს გასაუბრების ოთახს.
8. ღია და შიდა კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია.
9. გასაუბრება ჩატარდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. N1, მე-2 სართულის სხდომათა დარბაზი).

5. კონკურსის ჩატარების დამატებითი პირობები

1. კანდიდატი ვალდებულია:
 - ა) დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე;
 - ბ) თან იქონიოს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - გ) გასაუბრების მსვლელობისას დაიცვას სიჩუმე.
2. კანდიდატის მიერ კონკურსის პირობების დარღვევა არის მისი კონკურსიდან მოხსნის საფუძველი.

შენიშვნა: დამტკიცებულია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე.